საქართველო მრავალკონფესიური და მრავალეთნიკური ქვეყანაა. 2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, მისი მოსახლეობის 83.4% მართლმადიდებელია, 10.7% – მუსლიმი, 2.9% – სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წევრი. დანარჩენ მაჩვენებლებს ინაწილებენ კათოლიკე ეკლესია, იეღოვას მოწმეები, ეზიდები, სხვადასხვა პროტესტანტული დენომინაცია, იუდეური თემი და სხვა. ოფიციალურ მო-

ნაცემებში იგულისხმებიან ის ადამიანებიც, რომლებიც თავს არცერთ რელიგიას არ მიაკუთვნებენ. საქართველოში, სხვადასხვა მონაცემით, 100-მდე რელიგიური გაერთიანება არსებობს.

გლობალიზაციის ეპოქაში ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარება და ინტერკულტურული და ინტერრელიგიური დიალოგის ხელშეწყობა განიხილება როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა თანამედროვე მსოფლიოს მნიშვნელოვანი და ჰარმონიული თანაარსებობისთვის. ჩვენი ეპოქის მთავარი პარადიგმა განსხვავებულ ჯგუფთან და ინდივიდთა ინტენსიური ურთიერთობაა. კონტაქტი სხვადასხვა კულტურასა და რელიგიას შორის სულ უფრო და უფრო იზრდება, განსხვავებულ ჯგუფებს შორის კავშირების ღრმავდება. ახლა თითქმის შეუძლებელია ჰომოგენური საზოგადოების ნახვა, რომლის წევრები ერთგვაროვანი კულტურისა და ერთი და იმავე რელიგიის აღმსარებლები არიან. პარადოქსია რომ გლობალიზაცია, რამდენადაც ბიძგს აძლევს ფინანსურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას, იმდენადვე უწყობს კულტურულ და სოციალურ დეზინტეგრაციას. ადამიანები იგონებენ ახალ საზღვრებს, იმისათვის რომ თავი განასხვავონ, გაემიჯნონ და დაშორდნენ განსხვავებული კულტურის მატარებლებს, რომელთა სიახლოვე მათში დისკომფორტს იწვევს.

კვლევის მიზანია, წარმოადგინოს ქართულ საზოგადოებაში სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენლების რელიგიათაშორისი დიალოგის და თანამშრომლობის არსებული მოდელები, პროექციები რელიგიათაშორისი, ინტერრელიგიური განწყობების შესახებ.

ხშირად რელიგიური განსხვავებები მიიჩნეოდა როგორც დამაბრკოლებელი ფაქტორები კონფლიქტების დარეგულირებასა და მშვიდობის მშენებლობაში. მართალია, ყველა რელიგია მშვიდობას ქადაგებს, მაგრამ ხშირად სიძულვილისა და ძალადობის ლეგიტიმაციის წყაროდაც სწორედ რელიგია წარმოდგება ხოლმე. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რელიგიათა მშვიდობიან თანაარსებობას, თუ გავითვალისწინებთ, რომ ის დაპირისპირებული მხარეების ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია.

საინტერესოა საქართველოში რომელი მოდელების იდენტიფიკაცია არის შესაძლებელი, რა ფორმებით არის წარმოდგენილი ეს მოდელები საერო და სასულიერო პირების დისკურსებში. საუკუნეების განმავლობაში მრავალფეროვნება

ქართული კულტურისა და ისტორიის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი იყო. სხვადასხვა რელიგია, ეთნიკური ჯგუფი და კულტურა არა მარტო თავად პოულობდნენ საქართველოს, არამედ ქართველი პოლიტიკოსები, რელიგიური მოღვაწეები და მწერლებიც გამუდმებით ეძებდნენ ახალსა და უცხოს.

განსხვავებული რელიგიური კუთვნილება ეროვნული იდენტობის ნაწილად აღიქმებოდა. მაგალითად, ილია ჭავჭავაძე წერდა: „სარწმუნოების საქმე სინდისის საქმეა, რა ჩვენი საქმეა – ვინ როგორ სარწმუნოებას აღიარებს, ვინ რა რჯულის არის? რა რჯულიც ჰსურს, იმ რჯულზე იყოს; მხოლოდ კარგი, პატიოსანი კაცი იყოს, მშრომელი და თავისთვის და ქვეყნისათვისაც სასარგებლო“

საქართველოს უზენაეს კანონში, კონსტიტუციაში, აღნიშნულია, რომ საქართველოს მოქალაქეების ურყევი ნებაა, დავამკვიდროთ სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველვყოთ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განვამტკიცოთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა.

შეგვიძლია რელიგიათა ურთიერთდამოკიდებულების სამი მოდელი გამოვყოთ: მონომოდელი, მულტიმოდელი და ინტერმოდელი.

რელიგიათა ურთიერთდამოკიდებულების მონომოდელი მონომოდელის მომხრეები არაა აუცილებელი რომ ფიქრობდნენ, რომ არის მხოლოდ ერთი *religio vera*, ხოლო სხვა რელიგიები სრულიად მოკლებულია დასაბუთებას, მცდარია ან მეორეხარისხოვანია, ან დროებითი. რადგან ფუნდამენტალისტები ამგვარი მიდგომებისკენ იხრებიან: არსებობს მხოლოდ ერთი აბსოლუტური და უნივერსალური რელიგია, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან; ისინი სწორედ აქედან ამოდიან, როდესაც საკუთარ რელიგიას განიხილავენ. ფუნდამენტალისტებისათვის მონორელიგიურობა პლეონაზმია, რამდენადაც იგი გულისხმობს სხვა რელიგიების არსებობას და საკუთარს მიაზრებს როგორც მრავალთა შორის ერთ-ერთს. ფუნდამენტალისტური გადასახედიდან ეს მიუღებელია. მონომოდელი გულისხმობს, რომ ადამიანი აღიარებს სხვა რელიგიების არსებობას და დასაშვებად მიაჩნია მათ შორის კომუნიკაცია.

აქ ისმის კითხვა: როგორ არის შესაძლებელი ამ კომუნიკაციის განვითარება და პრაქტიკაში გადაყვანა და, საერთოდ, საჭიროა თუ არა იგი? მონომოდელში ამას ჩართულობას უწო-

დებენ. ეს შეხედულება გულისხმობს იმის აღიარებას, რომ ადამიანი დადებითად უყურებს სხვა რელიგიებს, მიუხედავად იმისა რომ არ ხდება მათი ქრისტიანულად აღქმა. რელიგიათა ურთიერთდამოკიდებულების მონომოდელი მონომოდელის ჩართულობის პრინციპის მთავარი იდეა ქრისტოლოგიას უკავშირდება, კერძოდ, ინკარნაციას, რომლის მიხედვითაც ქრისტე უნივერსალურად არსებობს ყველაფერში, რაც ღირებულია ამ სამყაროში. თვითწარმოდგენა ძალიან მნიშვნელოვანი ინდიკატორია მონომოდელის გამოსაყენებლად. მონომოდელის პრინციპი შეიძლება მიესადაგოს მონოკულტურას, მონოეთნოსს და სხვას.

რელიგიათა ურთიერთდამოკიდებულების მულტიმოდელი მრავალ ასპექტში განსხვავდება მონომოდელისგან რელიგიურ პლურალიზმთან მიმართებაში. მულტიმოდელის მთავარი პრინციპებია თანასწორობა რელიგიებისა და მათ მიერ გაცხადებული ჭეშმარიტებისა, სხვადასხვა რელიგიის განზომილებათა შედარება და გარკვეული რელატივიზმი. მიზეზი იმისა, თუ როგორ უნდა გავუწიოთ ანგარიში სიმრავლეს, მდგომარეობს იმაში, რომ ლიტერატურა და ემპირიული კვლევების ადასტურებს ამგვარი მსოფლმხედველობის გავრცობას თანამედროვე საზოგადოებებში. თეორიულად, ეს კონცეფცია განმარტებულია და განვითარებულია ფსიქოლოგიურ და ფილოსოფიურ მიმართულებებში. რელიგიები ჰგვანან ხეებს რომლებსაც ფესები ერთ საერთო ნიადაგში აქვთ გადგმული.

რელიგიათა ურთიერთდამოკიდებულების ინტერმოდელის მთავარი პრინციპებია ურთიერთობა, პროცესი და ხედვათა ცვლილება. თეოლოგიის მხრივ, კათოლიკურ ტრადიციაში ვატიკანის მეორე საბჭოს შემდეგ მრავალი რამ შეიცვალა. გარკვეულწილად ინტერმოდელი რეაქციაა მონოტრადიციაზე. მონორელიგიური ხედვის მიხედვით, სხვა რელიგიათა ურთიერთობა ქრისტიანული რელიგიის მსოფლმხედველობასთან განსაზღვრულ ჩარჩოებშია მოქცეული. სხვა რელიგია ქრისტიანულ მორწმუნეთა მე-ს ხედვას ესადაგება. მცირე ან სულ არ ექცევა ყურადღება შენ ხედვას, რომელიც მიმართულია სხვა რელიგიებზე. ასევე, მცირე ან არავითარი ყურადღება არ ექცევა ურთიერთობას მე-სა და შენს-ს შორის. მულტირელიგიური მოდელი ემყარება ნეიტრალურ აღქმას (ის) და ემიჯნება ინდივიდის რელიგიური ჩართულობას.

ჩვენი ეპოქის მთავარი პარადიგმა განსხვავებულ ჯგუფთან და ინდივიდთა ინტენსიური ურთიერთობაა. კონტაქტი სხვა-

დასხვა კულტურასა და რელიგიას შორის სულ უფრო და უფრო იზრდება, განსხვავებულ ჯგუფებს შორის კავშირების ღრმავდება. ახლა თითქმის შეუძლებელია ჰომოგენური საზოგადოების ნახვა, რომლის წევრები ერთგვაროვანი კულტურისა და ერთი და იმავე რელიგიის აღმსარებლები არიან.

გამოყენებული ლიტერატურა

კულტურათა დიალოგი და სამოქალაქო ცნობიერება, თბილისი, 2010წ. ჰანს-გეორგ ზიბერცი - ვერცბურგის უნივერსიტეტი, გერმანია, რელიგია, პლურალიზმი და დამოკიდებულება „სხვებისადმი“

რელიგიის თავისუფლების სტანდარტები სახელმძღვანელო ადგილობრივი თვითმმართველობისთვის, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) 2018

Tamar Charkviani

Caucasus University

IN THE PROCESS OF INTERRELIGIOUS DIALOGUE IN GEORGIA, THE ANALYSIS OF MONOMODEL, MULTIMODEL, AND INTERMODEL RELATIONSHIPS BETWEEN RELIGIONS IS ESSENTIAL

In the last decade, there has been great interest in the extent to which religion can play a positive role in the process of conflict settlement and peacebuilding. The peaceful coexistence of religions in multi-religious and multi-ethnic societies is of particular importance, considering that it is one of the main determining factors of the individual and collective identity of the opposing parties. Religious norms and values are central aspects of cultural identity. Like other cultural values, religious identity and value orientations can lead people to both conflict and reconciliation.

Georgia is a multi-confessional and multi-ethnic country. According to the 2014 general census, 83.4% of its population is Orthodox, 10.7% are Muslim, and 2.9% are members of the Armenian Apostolic Orthodox Church. The remaining figures are shared by the Catholic Church, Jehovah's Witnesses, Yezidis, various Protestant denominations, the Jewish community, and others. Official data also

includes those people who do not belong to any religion. According to various data, there are about 100 religious associations in Georgia.

In the era of globalization, the development of intercultural competences and the promotion of intercultural and interreligious dialogue are considered as one of the most important prerequisites for the meaningful and harmonious coexistence of the modern world. The main paradigm of our age is the intensive relationship with different groups and individuals. The contact between different cultures and religions is increasing more and more, the ties between different groups are deepening. Now it is almost impossible to see a homogeneous society whose members are of the same culture and profess the same religion. It is a paradox that, as much as globalization promotes financial and economic integration, it promotes cultural and social disintegration. People invent new boundaries to distinguish themselves, separate, and distance themselves from carriers of different cultures, whose proximity causes them discomfort.

The purpose of the study is to present the existing models of inter-religious dialogue and cooperation of representatives of different religions in the Georgian society, projections of inter-religious and inter-religious attitudes.

Religious differences were often seen as obstacles to conflict resolution and peace building. It is true that all religions preach peace, but religion is often the source of the legitimacy of hatred and violence. Of particular importance is the peaceful coexistence of religions,

Considering that it is one of the main determining factors of the individual and collective identity of the opposing parties.

It is interesting to identify which models are possible in Georgia and in what forms these models are presented in the discourses of secular and clerical individuals. Diversity has been one of the main characteristics of Georgian culture and history for centuries. Different religions, ethnic groups, and cultures not only found a place in Georgia themselves, but also Georgian politicians, religious figures, and writers were constantly exploring something new and foreign.

Various religious affiliations were perceived as part of national identity. For example, Ilia Chavchavadze wrote: 'The matter of faith is the matter of conscience, what is our business - who confesses what faith, who belongs to what law? Whatever law he wants, let him

be on that law; he should only be a good, honest man, hardworking, and useful to himself and the country.'

The Supreme Law of Georgia, the Constitution, states that it is the unshakable will of the citizens of Georgia to establish a social and legal state, ensure universally recognized human rights and freedoms, and strengthen state independence and peaceful relations with other peoples.

We can distinguish three models of the interdependence of religions: monomodel, multimodel, and intermodel.

Proponents of the monomodel of interreligious interdependence do not necessarily believe that there is only one *religio vera*, and that other religions are completely without justification, false, or secondary. Fundamentalists tend to take this approach, viewing their own religion as the only absolute and universal one. From a fundamentalist point of view, monoreligiousness is a pleonasm, presupposing the existence of other religions and considering one's own as one among many. However, the monomodel implies that people recognize the existence of other religions and consider it permissible to communicate between them.

The question here is: how can this communication be developed and put into practice, and is it necessary at all? In the monomodel, this is referred to as engagement. This perspective implies the recognition that one views other religions positively, even though one does not perceive them as Christians. The main idea of the principle of monomodal interdependence of religions is related to Christology, namely, the incarnation, according to which Christ is universally present in everything that is valuable in this world. Self-representation is a crucial indicator for applying a monomodel. The principle of the monomodel can be extended to monoculture, monoethnos, and other contexts.

The multimodel of religious interdependence differs in many aspects from the monomodel of religious pluralism. The main principles of the multimodel include the equality of religions and the truths they proclaim, the comparison of the dimensions of different religions, and a certain relativism. This approach is grounded in literature and empirical studies, confirming its prevalence in modern societies. Theoretically, this concept is explained and developed in psychological and philosophical directions. Religions are likened to trees with their roots grounded in a common soil.

The main principles of the interfaith interdependence model

are relationship, process, and changing views. In terms of theology, many things have changed in the Catholic tradition since the Second Vatican Council. To some extent, the intermodel is a reaction to the monotradition. According to the monoreligious view, the relationship of other religions with the worldview of the Christian religion is constrained within certain frameworks. Another religion is perceived through a Christian believer's vision of self, with little or no attention paid to the vision directed at other religions, or to the relationship between 'I' and 'Thou.' The multi-religious model is based on a neutral perception(s) and separates an individual's religious involvement.

The main paradigm of our age is the intensive relationship with different groups and individuals. The contact between different cultures and religions is increasing, deepening the ties between diverse groups. It is now almost impossible to see a homogeneous society whose members share the same culture and profess the same religion.

Bibliography

Dialogue of Cultures and Civic Awareness, Tbilisi, 2010. Hans-Georg Sieberts - University of Würzburg, Germany, Religion, Pluralism and Attitudes to "Others"

Religious Freedom Standards Guidance for Local Government, Tolerance and Diversity Institute (TDI) 2018

ირაკლი ირემაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აგრარული რეფორმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში¹

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის მიწის რეფორმის სწრაფად და ეფექტურად გატარებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ რეფორმის წარმატებულობის

¹ კვლევა [გრანტის ნომერი FR2113590] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით/This research [grant number FR-21-13590] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)

ხარისხი რესპუბლიკისათვის ეგზისტენციალურ საკითხებს უკავშირდებოდა. ყველაზე მძიმე შემთხვევებში ახალმა რესპუბლიკამ რუსეთის საიმპერიო რეჟიმისგან სწორედ აგრარულ სფეროში მიიღო.

აგრარული რეფორმის დაწყებისათვის 1917 წლის თებერვლის რევოლუცია კარგ ნიადაგს ქმნიდა. თებერვლის რევოლუციის და დემოკრატიული ცვლილებების კოლაფსის ერთ-ერთ მიზეზად მკვლევრები რუსეთში აგრარული რეფორმის გაჭიანურებას მიიჩნევენ.¹

1918-1921 წლებში სოფლის მეურნეობაში რესპუბლიკის მოქალაქეების 80%-ზე მეტი იყო დასაქმებული.² 1917 წლისათვის მიწების ფონდის საერთო მოცულობის 52.6 % გლეხების ხელში იყო, თუმცა აბსოლუტურ უმრავლესობას 2 ჰექტარზე მცირე მიწა ჰქონდა კერძო საკუთრებად. აღმოსავლეთ საქართველოში გლეხების 64% დასავლეთ საქართველოში კი 42% მიწებს იჯარით იღებდა. იჯარის ღირებულება ხშირად მოსავლის 25-30%-ს შეადგენდა.³

1918 წლის მაისიდან აგრარულ რეფორმის გატარების პასუხისმგებლობა საიმპერიო ცენტრებიდან ამიერკავკასიის დედაქალაქებში გადავიდა. საქართველომ ეს რეფორმა საკმაოდ სწრაფი ტემპები დაიწყო, სომხეთმა სცადა რეფორმის გატარება თუმცა წარუმატებლად, აზერბაიჯანში, კი ფაქტობრივად სისტემურ მცდელობებსაც არ ჰქონია ადგილი.

ვლადიმერ ვოიტინსკი თავის წიგნში - „ქართული დემოკრატია“ - აღნიშნავს - „საქართველოში თითოეულმა გლეხმა იცის, რა მისცა რევოლუციამ და რევოლუციიდან შობილმა ახალგაზრდა რესპუბლიკამ - მიწა და დემოკრატიული თვითმმართველობა: მიწა - ანუ თავისუფლად მუშაობის უფლება შიშის გარეშე, რომ სხვა მოვა და შენი შრომითა და ოფლით დათესილ ხორბალს წაგართმევს; თვითმმართველობა - რწმენა იმისა, რომ ცხოვრება უფრო და უფრო ნათელი, ადვილი და ცივილიზებული გახდება“.⁴

ამიერკავკასიის კომისარიატმა 1917 წლის 16 დეკემბერს

1 Wladimir S. Woytinsky, Stormy Passage: A Personal History Through Two Russian Revolutions to Democracy and Freedom: 1905-1960, New York, The Vanguard Press, 1961, P. 398.

2 კონსტანტინე კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი პირველი: ტერიტორია და მოსახლეობა, პარიზი, დავით ხელაძის გამოცემა, 1935 წელი, გვ. 167.

3 კონსტანტინე კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი მეორე, დამოუკიდებელი საქართველო: მისი სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა, პარიზი, Institute for the study of the USSR, Paris, 1950, გვ. 149.

4 ვლადიმერ ვოიტინსკი, ქართული დემოკრატია, თბილისი, თსუ, 2018, გვ. 271.

სპეციალური დეკრეტი გამოსცა და აგრარული რეფორმის დაწყება აცნობა მოქალაქეებს.¹1918 წლის 8 მარტს ამიერკავკასიის სეიმმა დაამტკიცა კანონი, რომლის თანახმადაც მიწის მესაკუთრე კერძო პირებს დაუტოვებდნენ ნორმით განსაზღვრულ მიწის ნაკვეთებს (7 დესეტინას ძვირფასი კულტურებისათვის, 15 დესეტინას ხორბლეულისათვის, 40 დესეტინას მესაქონლეობისთვის), ხოლო ნორმაზე მეტ მიწებს ჩამოართმევდნენ კომპენსაციის გარეშე.

ამიერკავკასიის დროებითმა მმართველობითმა ორგანოებმა ვერ შეძლეს რეფორმის განხორციელება და ეს პასუხისმგებლობა 1918 წლის მაისიდან საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას დაეკისრა. თუმცა, რესპუბლიკის გამოცხადებამდე 1918 წლის გაზაფხულზე საქართველოში აგრარულ ნიადაგზე პირველი აჯანყება დაიწყო გორის მაზრის ჭავის რაიონში, ეთნიკურად ოსებით დასახლებულ არეალში.

1918 წლის მაის-ივნისში აგრარულ რეფორმას გამოხმაურება ჰქონდა სოხუმის ოლქშიც. მკვლევარი ენდრიუ ანდერსენი წერს - „მსხვილი აფხაზი მიწათმფლობელი არისტოკრატები, რომლებსაც ეშინოდათ, რომ სოციალ-დემოკრატ ლიდერებს შეიძლება მიწის მათთვის არახელსაყრელი რეფორმა გაეტარებინათ, ორიენტაციას ოსმანთა იმპერიაზე იღებდნენ“.²

აფხაზეთში და გორის მაზრის ჭავის რაიონში აგრარულ ნიადაგზე დაპირისპირებას განსხვავებული ფაქტორები იწვევდა, აფხაზეთში მიწისმფლობელები აფხაზები იყვნენ, ხოლო ეთნიკურად ქართველი, ადგილობრივი მცხოვრებნი თუ ახალმოსახლე გლეხები რეფორმის შედეგად მიწის მიღებას ელოდნენ, ჭავაში კი სიტუაცია პირიქით იყო, მიწის მფლობელები ეთნიკურად ქართველები იყვნენ, მიწის მომლოდინეები კი ეთნიკურად ოსები.³

1918 წლის ზაფხული მძიმე პერიოდი იყო რესპუბლიკისათვის, რადგანაც აგრარულ ნიადაგზე ბოლშევიკების მეთაურობით დაწყებულმა რევოლუციებმა იფეთქა ლეჩხუმში, დუშეთში, თიანეთში, მოგვიანებით კი ზუგდიდსა⁴ და ოზურგეთში.

1918 წლის განმავლობაში რესპუბლიკაში მიმდინარე-

1 გაზ. ერთობა, 1917 წლის 20 დეკემბერი, N221, გვ. 1.

2 ენდრიუ ანდერსენი, აფხაზეთი და სოჭი: კონფლიქტის ფესვები 1918-1921, Eagle head Publishing, 2016, გვ. 18.

3 Cory Welt, A missed Opportunity? Ethnic Autonomy and Revolutionary Violence in the democratic Republic of Georgia (1918-1921), 2012, pp. 2-3. In book "Democracy and State Building in Georgia, 1918-2010" (ed. Stephen F. Jones) London, Forthcoming, 2013.

4 გაზ. ერთობა, 1918 წლის 10 ივლისი, N142, გვ. 2-3.

ობდა მიწების ჩამორთმევა კერძო მემამულეებისადმი, თუმცა ფაქტობრივად ვერ დაიწყო მიწათა განაწილება გლეხებზე. 1918 წლის ბოლოს მიმდინარეობდა საკანონმდებლო ბაზის დახვეწა. 1919 წლის 28 იანვარს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი, რომელიც გაგრძელება იყო ამიერკავკასიის კომისარიატის დეკრეტის და სეიმის კანონისა. კანონის გაცხადებული იყო - „სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდის მამულები მიეცემა სოფლის მცხოვრებთ კერძო საკუთრებად“.¹ კანონის შესამე მუხლში განერილი იყო - „მიწა მიეცემა საკუთრებად იმ უმიწაწყო და მცირედი მიწის მქონე სოფელთ, რომელთა არსებობის მთავარ წყაროს შეადგენს სასოფლო-სამეურნეო შრომა“. კანონი ასევე განსაზღვრავდა სოფლად საერთო საკუთრების არსებობის საჭიროებასაც საძოვრებთან და ტყეებთან მიმართებაში.²

მიწის ფასები ცალკეულ მაზრებში განსხვავდებოდა, თუმცა 1919 წელს ძირითადად 2000-დან 5000 მანეთამდე³ მერყეობდა.⁴ მიწის ფასები 1920 და 1921 წლებში მცირედით გაიზარდა. 1919 წლის გაანგარიშებით აგრარული რეფორმის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტს 1.4 მილიარდ მანეთამდე შემოსავალი უნდა მიეღო.⁵

რეფორმა 1919 წლიდან სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, გლეხების მიერ ორგანიზებულ აგრარულ ნიადაგზე დაწყებულ ამბოხებას ადგილი აღარ ჰქონდა, თუმცა რეფორმის ავტორი მიწათმოქმედების მინისტრი ნოე ხომერიკი ღიად საუბრობდა რეფორმის შემაფერხებელ ფაქტორებსა და ნაკლოვანებებზე, რომლებიც ძირითადად რეფორმის განმახორციელებელ კვალიფიციურ კადრების (მიწის მზომელების) სიმცირესა და შექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ მდგომარეობას უკავშირდებოდა.⁶ რეფორმის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო ის რომ მიწის ფონდი რეგიონებისა და მაზრების მიხედვით არათანაბარი იყო - თუ ახალქალაქის მაზრაში ვარგისი მიწები ოჯახზე 6.4 დესეტინა იყო, იგივე მაჩვენებელი რაჭის და

1 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), სპეც. რედ. ვ. შარაშენიძე, თბილისი, ივერთა მხარე 1990, გვ. 217.

2 იქვე, გვ. 218-219.

3 ვალუტის დეველუაციის გამო სტერლინგებში დესეტინა მიწა მხოლოდ 2.5-6 სტერლიგამდე ღირდა.

4 გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წლის 11 ივლისი, N151, გვ. 2.

5 სცსა, ფონდი 1915, ანან. 3, საქმე 3, ფურც. 28.

6 ნოე ხომერიკი, აგრარული რეფორმა და ჩვენი სოფლის მეურნეობა, თბილისი, საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის გამოცემა, 1920, გვ. 18-19.

ლექსუმის მაზრაში 1.1-1.2 დესეტინას შეადგენდა.¹

1921 წლის იანვრისათვის აგრარული რეფორმა დიდწილად დასრულებული იყო, გლეხებს, რომლებსაც რესპუბლიკის გამოცხადებამდე მინა საკუთრებაში არ გააჩნდათ, დამოუკიდებლობის შემდეგ მცირედი, ხშირად სიმბოლური საფასურის გადახდით მიწები საკუთრებად ურეგისტრირდებოდათ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი თავის ნაშრომში წერდა - „1921 წლის იანვარში აგრარული რეფორმა ჩვენში თითქმის სავსებით დასრულებული იყო და ცხოვრებაში გატარებული. ამ რეფორმის გამო ბევრ შემთხვევაში, წვრილ მეურნეობას, უკვე არსებულს ფაქტიურათ იჯარის სახით, კერძო საკუთრებას უფლებრივი საფუძველი მიეცა. მართლაც თუ სახნავ-სათესი მიწის რაოდენობა თითო ოჯახს (ოჯახში 5-8 სული) ანუ მეურნეობას უწევდა საშუალოთ არა უმეტეს 2.5 ჰექტარისა თეორიულათ (სინამდვილეში ზოგს მეტი ჰქონდა, ზოგს - ნაკლები და ზოგს არაფერი)“.² - ... „თავისუფლებას გლეხობა იმიტომ უჭერდა მხარს, რომ ამ თავისუფლებისაგან იგი თავის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებას მოელოდა; ხოლო გლეხობის გარეშე, გლეხობის მიერ მხარის დაუჭერლად. ვერც ერთი წყობილება ჩვენში ფეხს ვერ მოიმაგრებდა. ასე ყოფილა ყველგან, სხვა ქვეყნებშიაც, რევოლუციის თუ დიდი რეფორმების ხანაში. და ისტორიაში ნათლათ ჩანს, რომ გლეხკაცობა ყოველგან ორივეს ერთად მოითხოვდა: მიწას და თავისუფლებას“.³

ბოლშევიკები აკრიტიკებდნენ სოციალ-დემოკრატიულ აგრარულ რეფორმას არა მხოლოდ იმის გამო რომ უარი თქვეს ნაციონალიზაცია/კოლექტივიზაციაზე არამედ ძირითადად იმის გამო, რომ სოციალ-დემოკრატებმა ყოფილ მემამულეებს დაუტოვეს საკმაო მიწები და ასევე 1920 წლიდან და უშვეს მიწების ყიდვა-გაყიდვა.⁴

1 იქვე, გვ. 21.

2 კონსტანტინე კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი მეორე, დამოუკიდებელი საქართველო: მისი სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა, პარიზი, Institute for the study of the USSR, Paris, 1950, გვ. 154.

3 იქვე, გვ. 145

4 ერიკ ლი, ექსპერიმენტი - საქართველოს მივიწყებული რევოლუცია, თბილისი, პოეზია, 2018, გვ. 157.23

THE AGRICULTURAL REFORM IN THE GEORGIAN DEMOCRATIC REPUBLIC¹

Quick and efficient implementation of the land reform was crucial for the Georgian Democratic Republic. The success of this reform was related to the existential issues of the Republic. The newly-formed Republic got the most severe heritage from the Russian Empire in the field of agriculture.

The February Revolution of 1917 formed solid grounds for the beginning of the agricultural reform. According to scholars, one of the reasons for the collapse of the February Revolution and democratic changes was the delay in the agricultural reform.²

In the years 1918-1921, over 80% of the Republic's citizens were engaged in agriculture.³ By 1917, 52.6 % of the total volume of lands were owned by peasants, although their great majority owned land areas comprising less than 2 hectares. 64% of peasants in the Eastern Georgia and 42% in Western Georgia leased the lands. The lease payment comprised 25-30% of the crops.⁴

Since May 1918, the responsibility for the implementation of the agricultural reform shifted from the centers of the Russian Empire to the capitals of South Caucasus. Georgia started implementing the reform quite rapidly. Armenia tried to carry out the reform, but without success. In Azerbaijan, no attempts were made whatsoever.

In his book "Georgian Democracy" Wladimir Woytinsky notes: "In Georgia, each peasant knows what revolution and the newly born Republic have given him – the land and democratic self-governance: land, or the right to work freely, without fear that someone will come and take the wheat harvested with your labour and sweat; self-governance – the belief that life has become brighter, easier and

1 This research [grant number FR-21-13590] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)

2 Wladimir S. Woytinsky, *Stormy Passage: A Personal History Through Two Russian Revolutions to Democracy and Freedom: 1905-1960*, New York, The Vanguard Press, 1961, P. 398.

3 Konstantine Kandelaki. *Georgian National Agriculture. Book 1: Territory and Population*. Paris. Davit Kheladze Publishing House. 1935. p. 167.

4 Konstantine Kandelaki. *Georgian National Agriculture. Book 2. Independent Georgia: Social and Economic State*. Paris. Institute for the Study of the USSR, Paris, 1950, p. 149.

more civilized“¹

The Transcaucasian Commissariat issued a special decree on December 16, 1917, in which it informed the citizens about the beginning of the agricultural reform.² On March 8, 1918, the Transcaucasian Seim approved a law, according to which private landowners were allowed to keep plots (7 tenths for precious agricultural species, 15 tenths for grain, 40 tenths for cattle-farming), they would be deprived of the lands exceeding this norm without compensation.

The temporary governance bodies of Transcaucasus failed to implement the reform. Since May 1918, this was the responsibility of the Georgian Democratic Republic. However, prior to the declaration of the Republic, in the spring of 1918, the first rebel started in Georgia for agricultural causes. It broke out in the district of Java, the area of Gori populated by ethnic Ossetians.

In May and June of 1918, Sokhumi District also reacted to the agricultural reform. The scholar Andrew Andersen writes: “Abkhazian noblemen who owned large areas of lands were afraid that the social-democrats would implement a land reform that would be detrimental for them. Therefore, they aspired for the support from the Ottoman Empire“³

The agricultural confrontations in Abkhazia and Gori were caused by different factors. In Abkhazia, the lands were owned by the Abkhaz noblemen, whereas ethnic Georgians, local residents or newcomer peasants expected to receive the lands as a result of the reform. In Java, the situation was the opposite: the lands were owned by ethnic Georgians, whereas the Ossetians expected to obtain the lands.⁴

The summer of 1918 was a difficult period for the Republic, because the rebels of Bolsheviks caused by agricultural reasons broke out in Lechkhumi, Dusheti, Tianeti, and, later, in Zugdidi⁵ and Ozurgeti.

In 1918, lands were seized from private landowners, but the Republic failed to distribute the lands among peasants. The

1 Wladimir S. Woytinsky. Georgian Democracy. Tbilisi TSU. 2018. p. 271.

2 Newspaper “Ertoba”, December 20, 1917, N221, p. 1.

3 Andrew Andersen, Abkhazia and Sochi. The Roots of Conflict 1918-1921, Eagle Head Publishing, 2016, p. 18.

4 Cory Welt, A missed Opportunity? Ethnic Autonomy and Revolutionary Violence in the democratic Republic of Georgia (1918-1921), 2012, pp. 2-3. In book “Democracy and State Building in Georgia, 1918-2010” (ed. Stephen F. Jones) London, Forthcoming, 2013.

5 Newspaper “Ertoba”, July 10, 1918, N142, pp. 2-3.

legislative basis was worked out at the end of 1918. On January 28, 1919, the Parliament of Georgia approved a Law which was a continuation of the Decree of the Transcaucasian Commissariat and the law approved by the Seim. The Law declared: "The estates of the State Land Fund will be given to the villagers as private property"¹ Article 3 of the Law said: "Lands will be given to the villagers who are short of lands and whose main source of income is agriculture". The Law also outlined the necessity for the common property of the village, such as pastures and forests.²

The prices of lands were different in different regions varying from 2000 to 5000 roubles in 1919³.⁴ In 1920 and 1921 they increased slightly. According to the calculations of 1919, within the framework of the agricultural reform, the State budget would be filled by 1.4 billion roubles.⁵

Since 1919, the reform was implemented actively, and the land rebellions of peasants were over. Yet, the author of the reform – the Minister of Agriculture Noe Khomeriki - spoke openly about the factors hampering the reform, as well as its shortcomings, chiefly consisting in the lack of qualified personnel implementing the reform (land surveyors) and the existing military-political state.⁶ One of the major challenges of the reform was that the land fund was unequally distributed among regions and districts: the useful lands comprised 6.4 tenths per household in Akhalkalaki, whereas in Racha and Lechkhumi region they comprised 1.1-1.2 tenths.⁷

By January 1921, the agricultural reform was nearly completed. The peasants who did not own lands prior to the declaration of the Republic, acquired the lands by paying a small, even symbolic amount after the declaration of the country's independence. Konstantine Kandelaki, the Minister of Finance and Trade-Industry of the Democratic Republic of Georgia, wrote: "By January, 1921, the agricultural reform was almost completed. Thanks to this reform, in many cases, minor farms, in fact, already existing based on the

1 The Collection of Legislative Acts of the Democratic Republic of Georgia (1918-1921), Special edition by V. Sharashenidze. Tbilisi. Iverta Mkhare. 1990, p. 217.

2 Ibid, p. 218-219.

3 Due to the inflation, the price of one tenth of land in pounds was about 2.5-6 pound sterling.

4 Sakartvelos Respublika newspaper, July 11, 1919, N151, p. 2.

5 Georgian Central Historical Archive, Fund 1915, Document 3, Case 3, Page 28.

6 Noe Khomeriki, The Agricultural reform and Our Agriculture. Tbilisi. Publishing House of the Union of Towns of the Republic of Georgia, 1920, p. 18-19.

7 Ibid, p. 21.

lease, were granted the right of private property. Indeed, the area of ploughlands per household (5-8 people) did not exceed average 2.5 hectares theoretically (in fact, some households owned more, others – less, and yet others – nothing at all)!¹ - ... “The peasants supported independence because they expected the improvement of their financial state; without the support of the peasants, no regime would be established in the country. This was the situation in all other countries, in the epochs of revolutions and great reforms. History has proved that peasants have always demanded both: land and freedom“.²

The Bolsheviks criticized the agricultural reform carried out by social-democrats, not only because the latter rejected the idea of nationalization/collectivization but also because the social-democrats did not deprive the former landowners of major portions of the lands and also, beginning from 1920, they allowed purchase and sales of lands.³

ნოდარ ჩხაიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ახალი ცნობები ანარქისტ შალვა გოგელიას ბიოგრაფიიდან

შალვა/იოსებ გოგელია ქართული ანარქისტული მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი ფიგურა იყო. 1905-1907 წლების რევოლუციის დროს აქტიურად წერდა გამოცემებში „ნობათში“, „მუშაში“, „ცის ნამში“. იცავდა ანარქისტულ მრწამსს და ეკამათებოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებს, იგი ასევე დაუპირისპირდა სოციალ-ფედერალისტებს. ძმასთან კომანდო გოგელიასთან ერთად გამოეყო პატრიოტულად განწყობილი ანარქისტების ჯგუფს. აქტიურად იყო ჩაბმული

1 Konstantine Kandelaki. Georgian National Agriculture. Book 2. Independent Georgia: its Social and Economic State. Paris, Institute for the study of the USSR, Paris, 1950, p. 154.

2 ibid, p. 145

3 Eric Lee, Experiment – Georgia’s Forgotten Revolution. Tbilisi. Poezia, 2018, p. 157.23.

მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ საბარიკადო ბრძოლებში, მონაწილეობდა ექსპროპრიაციებში.

1905-1907 წლების რევოლუციის შემდეგ იგი პოლიტიკურ ასპარეზზე აღარ ჩანდა და არც ქართულ გამოცემებში წერდა.

სტალინს თავის თხზულებების გამოცემებში შეჰქონდა პოლემიკა კომანდო გოგელიასთან, შალვა გოგელიასთან და ვარლამ ჩერქეზიშვილთან. ამრიგად მისი სახელი უცნობი არც საბჭოთა ისტორიოგრაფიისთვის იყო და ნაშრომებიც ახსენებდნენ (ცხადია უკიდურესად კრიტიკულად) რადგან ანარქისტული მოძრაობა საბჭოთა ხელისუფლებისთვის მიუღებელი იყო.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართული ანარქისტული მოძრაობის შესახებ არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი დაიწერა, შალვა გოგელიას მოღვაწეობას შეეხნენ ნაშრომებში ისტორიკოსები: დიმიტრი შველიძე, ნანული გვიანიშვილი, პაატა გერგაია და სხვები.

მიუხედავად ამისა მისი ბიოგრაფია ცალკე კვლევის საგანი არ გამხდარა. ძიებას ართულებდა რომ 1905-1907 წლების რევოლუციის შემდეგ ქართულ პრესაში მის შესახებ მცირე ინფორმაცია იძებნებოდა. სამწუხაროდ, ქართული ანარქიზმის შესახებ დაწერილი მემუარული ლიტერატურა სამწუხაროდ უკიდურესად მწირია. მოგონებები არ დაუწერიათ ან ჯერჯერობით არ ჩანს რომ დაწერეს ქართული ანარქიზმის წამყვანმა ფიგურებმა, თავად შალვა გოგელიამ და კომანდო გოგელიებმა, ვარლამ ჩერქეზიშვილმა, ალექსანდრე გაბუნიაშვილმა და სხვებმა, რაც კვლევას ართულებს.

საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში, შსს არქივში დაცული მასალები, ფრანგულ და რუსულ პრესაში გაფანტული ცნობები გოგელიას ბიოგრაფიის შესახებ არაერთ ახალ ფაქტს გვაგებინებს, იგულისხმება მისი მოღვაწეობის უცნობი ნიუანსები 1905-1907 წლების რევოლუციისას და მის შემდგომ, ცნობები მისი ოჯახის შესახებ, მისი მონაწილეობა საფრანგეთში პრეზიდენტ პუანკარეზე თავდასხმაში, მისი ცხოვრების უკანასკნელი პერიოდი.

NEW INFORMATION FROM THE BIOGRAPHY OF ANARCHIST SHALVA GOGELIA

Shalva/Ioseb Gogelia was one of the prominent figures of the Georgian anarchist movement. During the revolution of 1905-1907, he actively published papers in “Nobati”, “Musha”, “Cis Nami”. Defending anarchist beliefs and arguing with members of the Social Democratic Party, he also opposed the Social Federalists. Together with his brother Comando Gogelia, he separated from a group of patriotic anarchists. He was actively involved in barricade battles against the king’s government, participated in expropriations.

After the revolution of 1905-1907, he was no longer seen in the political arena, nor did he write in Georgian publications.

Stalin included polemics with Comando Gogelia, Shalva Gogelia and Varlam Cherkezishvili in the editions of his writings. Thus, his name was not unknown even in the Soviet historiography, and the works mentioning him (obviously extremely critically) was unacceptable for the Soviet government because the anarchist movement.

After the collapse of the Soviet Union, several important works were written about the Georgian anarchist movement. Shalva Gogelia’s figure was caught upon by historians: Dimitri Shvelidze, Nanuli Gianishvili, Paata Gergaia etc.

However, his biography did not become the subject of study yet. The search was complicated by the fact that after the revolution of 1905-1907, there was little information about him in the Georgian press. Unfortunately, the memoir literature written about Georgian anarchism is extremely scarce. The leading figures of Georgian anarchism, such as Shalva Gogelia and Comando Gogeli, Varlam Cherkezishvili, Aleksandre Gabunia and others, did not write memoirs, or so far it does not appear that they did, which gets the research complicated.

The materials preserved in the Central Historical Archive of Georgia, archive of the Ministry of Internal Affairs, scattered reports in the French and Russian press inform us many new facts about Gogelia’s biography, in particular, unknown nuances of his work during the revolution in 1905-1907 and, reports about his family, his participation in the attack on President Poincaré in France, The last period of his life.

სალომე ქანტურიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრესა და საგაომთხროლო საქმიანობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში¹

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებამ და პოლიტიკურმა პლურალიზმმა ბეჭდვითი საქმის თავისუფლება განაპირობა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მხოლოდ სამი წელი იარსება, თავისუფალმა გარემომ დამოუკიდებელი მედიის გაჩენას შეუწყო ხელი. ამავე დროს, ხელისუფლება იბრძოდა ეროვნულ - ქართულ ენაზე ბეჭდური გამოცემების გამრავალფეროვნებისათვის.

საქართველოს სხვადასხვა ბიბლიოთეკასა და კერძო კოლექციაში დაცული გამოცემების მიხედვით, საქართველოს დამოუკიდებლობის პირობებში, სულ - 767 დასახელების წიგნი დაიბეჭდა (1918 წელს - 181 დასახელების წიგნი, 1919 წელს - 242, 1920 წელს - 340, 1921 - 4).

დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად, საქართველოს სხვადასხვა დაბა-ქალაქში ახალი სტამბები გაიხსნა. მათი რაოდენობა კი საკმაოდ დიდი და შთამბეჭდავია.

ქართული წიგნის პალატის მიხედვით, 1918-1921 წწ. შემდეგი სტამბები არსებობდა: სტამბა „ძმობა“ (ქუთაისში), ბართლომე კილაძის სტამბა (თბილისში), ივანე კილაძის სტამბა (ქუთაისში), ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობის“ სტამბა (თბილისში), იოსებ. მ. ხელაძის სტამბა (ქუთაისში), საგუბერნიო სტამბა (ქუთაისში), ნ. ფერაძის და ამხ. სტამბა (ქუთაისში), სორაპანი სტამბა (თბილისში), სტამბა ცხოვრება (თბილისში), დ.ლ. პიტნავას სტამბა „განათლება“(თბილისში), ს. ფარადოვისა და ა. არაბიძის სტამბა „შრომა“ (ყვარელში), სტამბა „ძმობა“ (ქუთაისში), სტამბა „ქართლი“ (თბილისში), არს. კალანდაძის სტამბა (თბილისში), ფერაძისა და ნ. კურნაუხოვის სტამბა (ქუთაისში), დ.ლ. პიტნავას სტამბა „განათლება“(თბილისში), ქალაქის კავშირის სტამბა (თბილისში), სამხედრო სამინისტროს სტამბა (თბილისში), სტამბა ამხანაგობა „ეპოხა“ (თბილისში),

1 სტატია შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების 2022 წლის გრანტით გათვალისწინებული პროექტის „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“ (FR-21-13590) ფარგლებში.

ვარლამ ალ. რუხაძის სტამბა, გაზეთ „სახალხო საქმის“ სტამბა, კათოლიკე ქართველთა საჯანის სტამბა, წერა-კითხვის საზოგადოების ქუთაისის სტამბა და სხვა.

სახელმწიფო სტამბებს წარმოადგენდა: „ნამესტნიკის სტამბა“, საქართველოს რკინიგზის სტამბა, სამხედრო შტაბის სტამბა, ქალაქთა კავშირის სტამბა. მათ რიცხვს 1919 წელს დამფუძნებელი კრების სტამბა შეემატა. აღსანიშნავია, რომ მათ გვერდით არსებობდა არალეგალური სტამბებიც, სადაც ძირითადად ბოლშევიკები, ანტისახელმწიფოებრივ პროკლამაციებსა და გაზეთებს ბეჭდავდნენ. მაგალითად, სტამბა „ტრუდი“, ნადეჟდა“ „მამული“, „ეპოქა“ და სხვ.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას სიხარულით შეეგება ქართული პრესა, სადაც არაერთი წერილი გამოქვეყნდა ამ ფაქტის აღსანიშნავად. იბეჭდებოდა დამოუკიდებლობის აქტი, მთავრობის წევრთა შემადგენლობა და მოწოდებები.

1918-1921 წლებში არაერთი პერიოდული გამოცემა იწყებს ან აგრძელებს საქმიანობას. ბეჭდვითი პრესა შთამბეჭდავად მრავალფეროვანია: გვხვდება პოლიტიკური ხასიათის ჟურნალ-გაზეთები, საგანმანათლებლო, ლიტერატურული, სატირულ-იუმორისტული თუ სპეციალიზებული გამოცემები. პრესა და წიგნები იბეჭდებოდა როგორც ქართულად, ისე იმ ენებზე, რომელთა მოსახლეობაც ცხოვრობდა ქვეყანაში.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში არაერთი პოლიტიკური სუბიექტი არსებობდა, რომელთაც ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული იდეოლოგია ჰქონდათ. თითქმის ყველა პარტია თავისი გამოცემით იყო წარმოდგენილი. ერთმანეთთან დაპირისპირება, ცხადია, პრესის ფურცლებზე გადაჰქონდათ. შესაბამისად, ყველა გამოცემა პროპაგანდისტული იყო - დიდ დროს უთმობდა განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების წევრთა კრიტიკას და საკუთარი იდეოლოგიის მკითხველამდე მიტანას. თუმცა, კრიტიკა, დემოკრატიული პროცესების თანმდევ მოვლენას წარმოადგენდა და მეტწილად, თუნდაც სუბიექტურობის მიუხედავად, პრესა აგრძელებდა საქმიანობას. ხშირად დამფუძნებელ კრებაში დაწყებული დავა პრესის ფურცლებზე დისკუსიით გრძელდებოდა.

პრესაში დაობდნენ სახელმწიფოს მოწყობასა და პრეზიდენტის ინსტიტუტზე, მიწის საკითხზე, არჩევნებსა და კონსტიტუციის შემუშავებაზე. გამოცემები ხშირად რადიკალურობით და

ანტისახელმწიფოებრივი განცხადებებით გამოირჩეოდა. ამის გამო, „ნაროდნაია სვობოდა“ მთავრობის განკარგულებით დაიხურა.“

1921 წელი საბედისწერო აღმოჩნდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და ცხადია, ბეჭდვითი გამოცემებისთვის. საბჭოთა რუსეთმა დაარღვია 1920 წლის 7 მაისს, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულება და 1921 წლის თებერვალში, წითელი არმიის ჯარისკაცებმა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა ხელყვეს.

პრესა განსაკუთრებული სიმძაფრით აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე საომარ მოქმედებებს. მიუხედავად იმისა, რომ სამი წლის განმავლობაში სამთავრობო და ოპოზიციური ხასიათის პრესაში საკმაოდ მწვავე და კრიტიკული დაპირისპირება არსებობდა. მაშინ, როცა ქვეყნის გადარჩენის საკითხი იდგა, იდეოლოგიური სხვაობის მიუხედავად, ყველა ერთად გაერთიანდა საქართველოს გადასარჩენად. გამოცემები გმობდნენ რუსეთის ძალადობას, მოსახლეობას იმედს უწერგავდნენ. თუმცა, მტრის რიცხვი მატულობდა. ბრძოლის პირველ მსხვერპლთა ვინაობა კი პრესის ფურცლებზე ნეკროლოგებად ვრცელდებოდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავარი ბეჭდვითი ორგანო, „საქართველოს რესპუბლიკა“ 1921 წლის 23 თებერვალს, 41-ე ნომრით, ორგვერდიანი გაზეთით ასრულებს გამოცემას. გაზეთის „ერთობა“ ბოლო ორი ნომერი ქუთაისში დაიბეჭდა.

შემორჩენილი პრესის მასალები ცხადყოფს, რომ ქვეყანაში არსებობდა დემოკრატია, პრესა თავისუფალი იყო სამთავრობო მმართველობისაგან, დემოკრატიული პროცესის თანმდევი მოვლენა იყო საკმაოდ მწვავე, კრიტიკული ხასიათის მიმოწერა. თუმცა, ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად ყველა ერთხმად გაერთიანდა. რაც კიდევ ერთხელ გვაუწყებს, რომ მიუხედავად ფინანსური, ეკონომიკური თუ სოციალური კრიზისისა, ქვეყნის დამოუკიდებლობა ემსხვერპლა არა შიდა დაპირისპირებას, არამედ შემოჭრილი ძალის, საბჭოთა რუსეთის ძალადობრივ აგრესიას.

ემიგაციაში მყოფი მთავრობა განაგრძობდა პერიოდული პრესის (მაგალითად, დაიბეჭდა გაზეთი „თავისუფალი საქართველო“, ჟურნალი „ბრძოლა“) და სხვადასხვა სახის წიგნების ბეჭდვას. ეს იყო მკაცრი ბრძოლა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის წინააღმდეგ, ამხელდნენ კომუნისტურ სიძკაც-

რესა და ტერორს, რომელმაც ძალიან მალე მოკლა საზოგადოებრივი აზრი და მისი თავისუფალი იდეოლოგიის შემქნელები.

Salome Chanturidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SOCIAL-POLITICAL PRESS AND PUBLISHING ACTIVITIES IN THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA¹

Georgia's independence and political pluralism led to the freedom of press and publishing. Even though the Democratic Republic of Georgia existed only for three years, the free environment supported the development of independent media. At the same time, the government strove for the diversity of publications in the national – Georgian language.

Research of publications preserved at various libraries and private collections has proved that 767 books were printed in the period of Georgia's independence (181 books in 1918, 242 in 1919, 340 in 1920 and 4 in 1921).

Alongside with the restoration of independence, printing press was opened in various cities and towns of Georgia. Their number is quite impressive.

According to the Georgian Book Chamber, in 1918-1921, the following printing presses existed in Georgia: “Dzmoba” printing press (in Kutaisi), Bartlome Kiladze's Press (in Tbilisi), Ivane Kiladze's press (in Kutaisi), The Press of the Georgian Printing Union (in Tbilisi), Ioseb M. Kheladze's Press (in Kutaisi), Press of the Province (in Kutaisi), N. Peradze and co. Press (in Kutaisi), Sorapani Press (in Tbilisi), “Tskhovreba” (Life) Press (in Tbilisi), D. L. Pitnava Press “Ganatileba” (education) (in Tbilisi), S. Paradov and A. Arabidze's Press “Shroma” (Labour) (in Kvareli), “Dzmoba” (brotherhood) Press (in Kutaisi), “Kartli” press (in Tbilisi), Arsen Kalandadze's Press (in Tbilisi), Peraze and N. Kurnaukhov Press (in Kutaisi), City Union Press (in Tbilisi), Press of the Military Ministry (in Tbilisi), The Partnership Press “Epoch” (in Tbilisi), Varlam Al. Rukhadze Press, Newspaper “Sakhalkho Sakme”

1 The paper has been created within the framework of the project “The First Republic of Georgia”, financed by the grant of Shota Rustaveli National Science Foundation, 2022 (FR-21-13590).

Press, The Press of the Monastery of Catholic Georgians, Kutaisi Press of the Society for the Spreading of Literacy and so on.

The State-owned printing presses were: "Namestnikis Stamba", Georgian Railways Press, the Press of the Military Headquarters, The Press of the Union of Towns. In 1919, the Press of the Founding Council was added. It should be noted that, alongside with the official printing press, there were illegal presses where the Bolsheviks printed anti-state proclamations and newspapers. For instance, such printing presses were: "Trud", "Nadezhda", "Mamuli" "Epoka" etc.

The Georgian press greeted the declaration of Georgia's independence with great joy. Numerous articles were published regarding this fact. The newspapers also published the Independence Act, the list of the Government members and their speeches.

In 1918-1921, numerous periodicals started or continued their activities. The printing press was impressively diverse: political newspapers and magazines, educational, literary, satirical-humorous or specialized editions. Newspapers and books were published in Georgian as well as the languages of other ethnicities living in Georgia.

In the period of the Georgian Democratic Republic there were numerous political subjects with radically different ideologies. Almost every party had its newspaper. Their opposition was reflected in the press. Hence, all the publications contained propaganda, criticism of different political opinions and defence of their own ideology. Yet, criticism was a phenomenon accompanying the democratic processes and, to a large extent, despite its subjectivity, the press continued its activities. Frequently, the argument arising at the meeting of the Founding Council continued on the pages of the newspapers.

The discussions in press embraced the following issues: arrangement of the State, the institute of the President, land issues, elections and the Constitution. Frequently, the newspapers were too radical and made anti-State statements. Due to this, "Narodnaya Svoboda" was "closed down based on the Government Decree."

The year 1921 turned out to be fatal for Georgia's independence and, naturally, for the publishing houses as well. The Soviet Russia violated the Agreement with the Government of the Georgian Democratic Republic signed on May 7, 1920, and, in February 1921 the Red Army occupied the country.

The press was most active in covering the military activities taking place in the country. Even though the governmental and oppositional press had been involved in active debates during the three

years, whenever the issue of the country's salvation arose, despite ideological differences, the entire nation became united and strove together for the salvation of the country. The editions condemned Russian aggression and filled the population with hope. Yet, the number of enemies increased. The press published necrologues of the victims of battles.

The chief printed body of the Democratic Republic of Georgia – “Sakartvelos Respublika” ceased its existence with a two-page edition number 41, published on February 23, 1921. The final two issues of the “Ertoba” newspaper were published in Kutaisi.

The existing material of the press proves that the country was democratic, the press was free of governmental pressure, and the democratic process was accompanied by acute, critical debates. Yet, everyone was united to protect the country's territorial integrity. This proves that the country fell victim not to financial, economic and social crisis, but to the violent aggression of the occupant country – Soviet Russia.

The Georgian government in emigration continued printing periodicals (for instance, newspaper “Tavisupali Sakartvelo” (Free Georgia) and magazine “Brdzola” (Struggle)) and different kinds of books. They struggled against the Russian annexion of Georgia, condemned Communist terror and severity which soon killed the public opinion and authors of free ideology.

პავლიკა ჯაგუნავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

განერალ ჯიხის კარბორდის კომისიის საქართველოში ვიზიტი: მიზანები და შედეგები

1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის კვლევა თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი გამოწვევაა. ბოლო 30 წლის განმავლობაში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა ქართულ-ამერიკული ურთიერთობების

კვლევამ განსაკუთრებით, სწორედ აღნიშნულ 1918-1921 წლების განმავლობაში. ჩვენი საკვლევო თემაც აღნიშნულ პერიოდს ეხება, კერძოდ, ამერიკელი გენერლის ჯეიმს ჰარბორდისა და მისდამი დაქვემდებარებული კომისიის საქართველოში ვიზიტის მიზნებსა და შედეგებს (1919 წ.).

ხსენებული საკითხის კვლევა აქტუალურია რამდენიმე ფაქტორიდან გამომდინარე: თანამედროვე გეოპოლიტიკური მდგომარეობა და საქართველოსა და აშშ-ს შორის არსებული სტრატეგიული ურთიერთობები, აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია ორივე სახელმწიფოს მხარემ იცოდეს ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთობების ისტორია. საკითხის აქტუალურობას განსაზღვრავს ის ფაქტიც, რომ ჰარბორდის საქართველოში ვიზიტის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში სამეცნიერო ნაშრომების სმიცირეა, რაც ამერიკული საარქივო დოკუმენტებისადმი წვდომის სირთულით იყო გამოწვეული. დღეს უკვე შეგვიძლია ვთქვათ, ფაქტის ამსახველი წერილობითი თუ აუდიო-ვიდეო მასალა ხელმისაწვდომია. ვფიქრობთ, რომ ფარბორდის კომისიის საქართველოში ვიზიტი, მისი შედეგები, საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების მისწრაფებები დაემყარებინათ კარგი ურთიერთობები ამერიკელებთან, კარგი ილუსტრაციაა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკისა.

კვლევა მთავარ მიზნად ისტორიოგრაფიაში არსებული ვაკუუმის ამოვსებას ისახავს. აგრეთვე, ჩვენი მიზანია საზოგადოებას გავაცნოთ უცნობი წერილობითი წყაროები საქართველოს შესახებ.

